პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

---ივნისი 2019 წელი

ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიასთან მდებარე უსახელო ქუჩებისთვის სახელის მინიჭების შესახებ

1. საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

ა) საბურთალოს რაიონში, გაგრძელდეს ლისის ქუჩა, თანდართული რუკის თანახმად.

ბ) საბურთალოს რაიონში, ლისის ქუჩის მონაკვეთს (ლისის ქუჩის მონაკვეთი ჩამოყალიბდეს დამოუკიდებელ ქუჩად), მიენიჭოს ბზის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

გ) საბურთალოს რაიონში, ლისის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს ნეკერჩხლის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

დ) საბურთალოს რაიონში, ლისის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს ლისის იასამნების სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

ე) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე


X=479454 Y=4621086
X=479527 Y=4621039
ლისის ქ.
ლისის იასამნების ქ.
X=479631 Y=4620999
X= 479751 Y= 4620964
ნეკერჩხლის ქ.
ლისის ქ.
ბზის ქ.
X=479392 Y=4620943
X=479494 Y=4620873
X=479675 Y=4620842
ლისის ქ.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს

ბ-ნ გიორგი ტყემალაძეს

მოქ. [illegible]

მცხ. [illegible] N1

ტელ. 599 93 95 50

პირადი: 01019016014

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

[illegible]

[illegible]

20/05/2019

# 002069

ლისი ფო

ქ. თბილისი

14 მაისი, 2019 წ.

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

მინდობილობა ეძლევა შპს „ლისი ფო"-ს (ს/კ 404859792) იურისტს, ლევან ბაშინურიძეს (პ/ნ 01019016014) მასზედ, რომ წარმოადგინოს კომპანია მის მიერ განხორციელებულ პროექტის „მწვანე ქალაქი ლისზე" დამისამართების საკითხზე ქ. თბილისი საკრებულოს ნებისმიერ სამსახურთან ურთიერთობაში.

ჩააბაროს, მიიღოს და ხელი მოაწეროს ზემოთ აღნიშნული დავალების შესასრულებლად ნებისმიერ დოკუმენტაციას.

მინდობილობა გაცემულია 2019 წლის 30 სექტემბრამდე.

დირექტორი

ნოდარ ადეიშვილი (პ/ნ 01031004439)

ტირიფების ქუჩა 2, 0159, თბილისი

tbi@lisi.ge / www.lisi.ge

T: (+995) 322 48 47 44

მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი **N 01.10.18.006.197**

# ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
**N 882019349283 - 08/05/2019 12:01:21**

მომზადების თარიღი
**13/05/2019 15:51:14**

---

## საკუთრების განყოფილება

| ზონა | სექტორი | კვარტალი | ნაკვეთი |
|---|---|---|---|
| თბილისი | საბურთალო | | |
| **01** | **10** | **18** | **006/197** |

მისამართი: ქალაქი თბილისი , ლისის ტბის მიმდებარედ , სოფელ ლისისკენ მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს

**ნაკვეთის საკუთრების ტიპი:** საკუთრება
**ნაკვეთის დანიშნულება:** არასასოფლო სამეურნეო
**დაზუსტებული ფართობი:** 66522.00 კვ.მ.
ნაკვეთის წინა ნომერი:**01.10.18.006.196;**

---

## მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი **882011424256** , თარიღი **01/09/2011 12:23:44**
უფლების რეგისტრაცია: თარიღი **01/09/2011**

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- სანოტარო აქტი სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ N100619949 , დამოწმების თარიღი:24/06/2010 ,ნოტარიუსი ლ.ბუხრიკიძე
- ს.ს. "ლისი ლეიქ დეველოპმენტი"-ს სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ოქმი N4/11 N110727983 , დამოწმების თარიღი:13/07/2011 ,ნოტარიუსი ო. ჭანიშვილი
- წერილი N06/1348 , დამოწმების თარიღი:01/02/2011 , საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

მესაკუთრეები:
შპს "ლისი ფო" , ID ნომერი:404859792

მესაკუთრე:
შპს "ლისი ფო"

**აღწერა:**

---

## იპოთეკა

განცხადების რეგისტრაცია ნომერი **882017326233** თარიღი **24/04/2017 18:06:12**

იპოთეკარი: **"NEDERLANDSE FINANCIERINGS-MAATSCHAPPIJ VOOR ONTWIKKELINGSLANDEN N.V."** (ნიდერლანდების განვითარებადი ქვეყნების დაფინანსების კომპანია)27078545;
მესაკუთრე: შპს "ლისი ფო" 404859792;
საგანი:დაზუსტებული მიწის ფართობი: 66522 კვ.მ.;

უფლების რეგისტრაცია: თარიღი **24/04/2017**

იპოთეკის ხელშეკრულება, რეესტრის ნომერი **N170425358**, დამოწმების თარიღი**24/04/2017**, ნოტარიუსი დ. ოყრომიძე

საგადასახადო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

## შეზღუდული სარგებლობა

| | |
|---|---|
| განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882019349283 თარიღი 08/05/2019 12:01:21<br><br>უფლების რეგისტრაცია: თარიღი 13/05/2019 | საგანი:მიწის ნაკვეთზე ფართით 12665 კვ.მ. ვრცელდება სერვიტუტის უფლება;<br><br>**დადგენილება, რეესტრის ნომერი N41-31, დამოწმების თარიღი19/04/2019, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო**<br><br>**წერილი, რეესტრის ნომერი N201911552, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია ურბანული განვითარების საქალაქო სამსახური** |

## ვალდებულება

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მატერიალური აქტივის რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას საშემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით."

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ–გვერდზე www.napr.gov.ge, ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ–გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge

# საკადასტრო გეგმა

**საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო**

საკადასტრო კოდი: **01.10.18.006.197**

განცხადების ნომერი: **882019349283**

მომზადების თარიღი: **13/05/2019**

ნაკვეთის დანიშნულება: **არასასოფლო სამეურნეო**

ფართობი: **66522 კვ.მ (WGS 84 / UTM zone 38N)**

ვალდებულების ფართობი : **12665 კვ.მ (WGS 84 / UTM zone 38N)**




კოორდინატთა სისტემა: WGS 84 / UTM zone 38N

მასშტაბი 1:4800

| | | |
|---|---|---|
| 05/25 მშენებარე ნაგებობა | 05/25 შენობა/ნაგებობა | ტყის ფონდი |
| ნაკვეთის საკადასტრო საზღვარი | ხაზობრივი ნაგებობა | ვალდებულება |

# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY


წერილის ნომერი: 03-031915676
თარიღი: 05/06/2019
პინი: 6311

გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge

**ადრესატი:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
**მისამართი:** შარტავას ქ. 7ა

ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსს
ბატონ ალექსანდრე ტოგონიძეს

გაცნობებთ, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი ლევან ბაშინურიძის 2019 წლის 20 მაისის საქმე # 19/031914070-03 დაკავშირებით, რომლითაც ითხოვს შპს"ლისი-ფოს" საკუთრებაში არსებული უსახელო გეოგრაფიული ობიექტის სახელდებას (ს.კ.01.10.18.006.197).
გთხოვთ, შეისწავლოთ დანართში, ჩვენს მიერ არაპროფესიონალურად მოხაზული ტერიტორია და გამოგვიგზავნოთ ქუჩის სიტუაციური ნახაზი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

დანართი 5 (ხუთი) გვერდი.

თინათინ ნიბლოშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

# ურბანული განვითარების საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: 67-01191614082
თარიღი: 10/06/2019
პინი: 5922

გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge

**ადრესატი:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
**მისამართი:** თავისუფლების მოედანი N2

**სიმბოლიკის კომისიის თავჯდომარეს**

**ქ-ნ თინათინ ნიბლოშვილს**

**მის: თავისუფლების მოედანი #2**

**ტელ:+995(32)2 15 92 92**

**ქალბატონო თინათინ,**

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურმა განიხილა თქვენი 05.06.2019 წლის # 03-031915676 (05.06.2019წ. #19-01191563489-67) განცხადება, რომლის პასუხადაც მოთხოვნის შესაბამისად გიგზავნით კარტოგრაფიულ მასალებს არსებული დასახლების, ჩიხების, შესახვევებისა და გასასვლელების მითითებით. (იხ. დანართი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

საქართველო, თბილისი, 0160, გ. შარტავას ქ. N7, (+995 32) 272 22 22, ფაქსი:(+995 32) 237 82 24